ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1440777

ნომერი: AR1244759

თარიღი : 16.08.2014

გაცემის თარიღი : 19.08.2014

გაცნობის თარიღი : 19.08.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალექსანდრე ყაზბეგის , N 36ა-39ა , ნაკვ.40/302 / ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.08.2011 წ. #1119 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 16.08.2014 წ. #AR1244759 განცხადებით მომართა შპს „სბ“-ს დირექტორის მინდობილმა პირმა რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა 01.08.2011 წ. #1119 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, საკადასტრო კოდისა და კონფიგურაციის ცვლილებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ

თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 01.08.2011 წ. #01.14.03.040.276 (ფართობი: 4000 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად დამტკიცდა #1119 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

სამსახურის მიერ დამტკიცებული 01.08.2011 წ. #1119 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები გაცემულია – საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: #01.14.03.040.344, ფართობი: – 3785 კვ.მ), რომლის თანახმადაც შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, შეცვლილია საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო ტერიტორიაზე, რომელიც განსაზღვრული იყო 01.08.2011 წ. #1119 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით, ისევ მოქმედებს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.08.2011 წ. #1119 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.14.03.040.344 ფართობი – 3785 კვ.მ), ხოლო სხვა პირობები და მოთხოვნები დარჩეს უცვლელი;
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.08.2011 წ. #1119 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-3785 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.14.03.040.344;
3. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციურ ზონებში დაემატოს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1);
4. შენიშვნის სახით დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:

1-„დაცული იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი. შენობა–ნაგებობა განთავსდეს საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ის არეალში (იხ. დანართი)“;

2-"საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო პარამეტრების ანგარიშის დროს გათვალისწინებული იქნეს მიწის ნაკვეთზე მოქმედ ფუნქციურ ზონებს შორის არსებული საზღვარი";

5. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.08.2011 წ. #1119 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირებულ შენიშვნაში ნაცვლად „საპროექტო ობიექტის სართულიანობა განისაზღვროს 10 სართულით“, დაფიქსირდეს „საპროექტო ობიექტის სართულიანობა განისაზღვროს 10 სართულამდე“;
6. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.08.2011 წ. #1119 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.